# მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## დადგენილება №36
2023 წლის 31 ოქტომბერი

ქ. მცხეთა

## „მცხეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ მე-80 მუხლის საფუძველზე მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1**

შეტანილ იქნეს ცვლილება „მცხეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის №34 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge; 26/12/2022 წელი190020020.35.153.016626) და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი (მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი) ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მცხეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ელოშვილი

**დანართი**

## თავი I
## მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

### მუხლი 1. მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

*ათასი ლარი*

| დასახელება | 2021 წლის ფაქტი | 2022 წლის ფაქტი | | | 2023 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტი | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტი |
| **I. შემოსავლები** | **34,789.1** | **38,654.8** | **31,904.7** | **6,750.1** | **41,738.2** | **30,239.0** | **11,499.3** |
| გადასახადები | 19,779.3 | 21,967.2 | 21,967.2 | - | 23,164.4 | 23,164.4 | - |
| გრანტები | 7,201.1 | 7,050.2 | 300.0 | 6,750.1 | 11,499.3 | | 11,499.3 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სხვა შემოსავლები | 7,808.7 | 9,637.5 | 9,637.5 | - | 7,074.6 | 7,074.6 | - |
| **II. ხარჯები** | **19,972.1** | **25,767.0** | **24,699.3** | **1,067.7** | **35,676.3** | **34,248.8** | **1,427.5** |
| შრომის ანაზღაურება | 2,949.8 | 4,016.3 | 3,826.4 | 189.9 | 5,129.3 | 4,903.3 | 226.0 |
| საქონელი და მომსახურება | 4,473.0 | 5,930.3 | 5,351.3 | 578.9 | 10,923.4 | 9,970.9 | 952.5 |
| პროცენტი | 65.0 | 62.3 | 62.3 | - | 65.8 | 65.8 | - |
| სუბსიდიები | 10,472.0 | 13,770.9 | 13,572.0 | 199.0 | 16,327.6 | 16,078.6 | 249.0 |
| გრანტები | 42.0 | 42.0 | 42.0 | - | 42.0 | 42.0 | - |
| სოციალური უზრუნველყოფა | 1,001.2 | 1,156.7 | 1,156.7 | - | 1,548.8 | 1,548.8 | - |
| სხვა ხარჯები | **969.1** | 788.5 | 688.6 | 99.9 | 1,639.3 | 1,639.3 | - |
| **III. საოპერაციო სალდო** | **14,817.0** | **12,887.8** | **7,205.4** | **5,682.4** | **6,062.0** | **- 4,009.9** | **10,071.8** |
| **IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება** | **- 3,884.2** | **11,808.0** | **5,605.0** | **6,203.1** | **42,822.8** | **32,190.8** | **10,632.0** |
| ზრდა | 16,086.6 | 25,173.7 | 18,970.7 | 6,203.1 | 43,422.8 | 32,790.8 | 10,632.0 |
| კლება | 19,970.8 | 13,365.7 | 13,365.7 | - | 600.0 | 600.0 | - |
| **V. მთლიანი სალდო** | **18,701.2** | **1,079.8** | **1,600.4** | **- 520.6** | **-36,760.9** | **-36,200.7** | **- 560.2** |
| **VI. ფინანსური აქტივების ცვლილება** | **18,575.5** | **954.1** | **1,474.7** | **-520.6** | **-36,886.7** | **-36,326.5** | **- 560.2** |
| **ზრდა** | **18,575.5** | **1,474.7** | **1,474.7** | - | - | - | - |
| ვალუტა და დეპოზიტები | 18,575.5 | **954.1** | 1,474.7 | - | - | - | - |
| **კლება** | - | **520.6** | - | **520.6** | **36,886.7** | **36,326.5** | **560.2** |
| ვალუტა და დეპოზიტები | - | 520.6 | - | 520.6 | 36,886.7 | 36,326.5 | 560.2 |
| **VII. ვალდებულებების ცვლილება** | **-125.7** | **-125.7** | **-125.7** | - | **- 125.8** | **-125.8** | - |
| **კლება** | **125.7** | **125.7** | **125.7** | - | **125.8** | **125.8** | - |
| საშინაო | 125.7 | 125.7 | 125.7 | - | 125.8 | 125.8 | - |
| სესხები | 125.7 | 125.7 | 125.7 | - | 125.8 | 125.8 | - |
| **VIII. ბალანსი** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** |

## მუხლი 2. მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება შემდეგი რედაქციით:

*ათასი ლარი*

| | 2021 წლის | 2022 წლის ფაქტი | | 2023 წლის გეგმა | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | მათ შორის | | მათ შორის |

| დასახელება | ფაქტი | სულ | | | სულ | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტი | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტი |
| **შემოსულობები** | **54,759.9** | **52,020.5** | **45,270.4** | **6,750.1** | **42,338.2** | **30,839.0** | **11,499.3** |
| შემოსავლები | 34,789.1 | 38,654.8 | 31,904.7 | 6,750.1 | 41,738.2 | 30,239.0 | 11,499.3 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 19,970.8 | 13,365.7 | 13,365.7 | | 600.0 | 600.0 | |
| **გადასახდელები** | **36,184.4** | **51,066.4** | **43,795.7** | **7,270.8** | **79,224.9** | **67,165.5** | **12,059.4** |
| ხარჯები | 19,972.1 | 25,767.0 | 24,699.3 | 1,067.7 | 35,676.3 | 34,248.8 | 1,427.5 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 16,086.6 | 25,173.7 | 18,970.7 | 6,203.1 | 43,422.8 | 32,790.8 | 10,632.0 |
| ვალდებულებების კლება | 125.7 | 125.7 | 125.7 | - | 125.8 | 125.8 | - |
| **ნაშთის ცვლილება** | **18,575.5** | **954.1** | **1,474.7** | **- 520.6** | **-36,886.7** | **- 36,326.5** | **- 560.2** |

## მუხლი 3. მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს **41 738,2** ათასი ლარის ოდენობით:

*ათასი ლარი*

| შემოსავლის სახეები | 2021 წლის ფაქტი | 2022 წლის ფაქტი | 2023 წლის გეგმა |
|---|---|---|---|
| **შემოსავლები** | **34,789.1** | **38,654.8** | **41,738.2** |
| გადასახადები | 19,779.3 | 21,967.2 | 23,164.4 |
| გრანტები | 7,201.1 | 7,050.2 | 11,499.3 |
| სხვა შემოსავლები | 7,808.7 | 9,637.5 | 7,074.6 |

## მუხლი 4. მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვროს **23 164,4** ათასი ლარის ოდენობით:

*ათასი ლარი*

| შემოსავლის სახეები | 2021 წლის ფაქტი | 2022 წლის ფაქტი | 2023 წლის გეგმა |
|---|---|---|---|
| **გადასახადები, მათ შორის:** | **19,779.3** | **21,967.2** | **23,164.4** |
| **დამატებითი ღირებულების გადასახადი** | **6,186.3** | **8,354.7** | **10,214.4** |
| **ქონების გადასახადი** | **13,593.0** | **13,612.5** | **12,950.0** |
| საწარმოთა ქონებაზე | 9,845.5 | 9,443.1 | 10,150.0 |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე | 655.3 | 733.2 | 220.0 |

| | | | |
|---|---|---|---|
| სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 434.1 | 497.0 | 320.0 |
| არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 2,658.1 | 2,939.1 | 2,260.0 |

## მუხლი 5. მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

ბიუჯეტის შემოსავლები გრანტებიდან განისაზღვროს **11 499,3** ათასი ლარის ოდენობით:

*ათასი ლარი*

| შემოსავლის სახეები | 2021 წლის ფაქტი | 2022 წლის ფაქტი | 2023 წლის გეგმა |
|---|---|---|---|
| **გრანტები (ტრანსფერები), მათ შორის:** | **7,201.1** | **7,050.2** | **11,499.3** |
| საერთაშორისო ორგანიზაციებიდან | 33.3 | 0.0 | |
| **მიმდინარე, მათ შორის:** | **635.9** | **828.8** | **980.4** |
| მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილებისათვის | 635.9 | 828.8 | 980.4 |
| **კაპიტალური, მათ შორის:** | **6,531.8** | **6,221.3** | **10,518.9** |
| კაპიტალური ტრანსფერი | 5,695.8 | 4,985.4 | 5,602.0 |
| სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებზე | | 99.9 | 3,430.0 |
| სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 836.0 | 836.0 | 846.0 |
| მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი | | | 370.9 |
| სხვა კაპიტალური დანიშნულების გრანტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან | - | 300.0 | 270.0 |

## მუხლი 6. მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს **7 074,6** ათასი ლარის ოდენობით:

*ათასი ლარი*

| შემოსავლის სახეები | 2021 წლის ფაქტი | 2022 წლის ფაქტი | 2023 წლის გეგმა |
|---|---|---|---|
| **სხვა შემოსავლები, მათ შორის:** | **7,808.7** | **9,637.5** | **7,074.6** |
| **შემოსავლები საკუთრებიდან** | **3,517.3** | **4,511.3** | **3,414.6** |
| **პროცენტები** | **2,591.9** | **3,329.3** | **2,494.6** |
| **რენტა** | **925.4** | **1,182.1** | **920.0** |
| მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის | 813.9 | 1,020.5 | 800.0 |
| შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან | 111.5 | 161.6 | 120.0 |
| **საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია** | **1,158.5** | **1,334.4** | **1,420.0** |

| | | | |
|---|---|---|---|
| **ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები** | **1,125.7** | **1,279.3** | **1,400.0** |
| სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი | 0.8 | 1.4 | - |
| სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი | 126.0 | - | - |
| მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის | 575.9 | 601.3 | 1,000.0 |
| სანებართვო მოსაკრებელი | 423.0 | 676.7 | 400.0 |
| **არა საბაზრო დაწესებულებების მიერ განხორციელებული გაყიდვები** | **32.8** | **55.1** | **20.0** |
| შემოსავალი მომსახურების გაწევიდან | 32.8 | 55.1 | 20.0 |
| **სანქციები, ჯარიმები და საურავები** | **2,999.7** | **3,697.7** | **2,240.0** |
| შემოსავალი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო | 2,601.1 | 3,214.1 | 2,000.0 |
| შემოსავალი არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო | 39.2 | 117.7 | 49.5 |
| შემოსავლები სანქციებიდან, ჯარიმებიდან და საურავებიდან სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო | 359.5 | 365.9 | 190.5 |
| **შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები** | **133.2** | 94.1 | - |
| სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები | 133.2 | 94.1 | - |

## მუხლი 7. მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით

ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს **35 676,3** ათასი ლარის ოდენობით:

*ათასი ლარი*

| ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით | 2021 წლის ფაქტი | 2022 წლის ფაქტი | | | 2023 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები |
| **ხარჯები** | **19,972.1** | **25,767.0** | **24,699.3** | **1,067.7** | **35,676.3** | **34,248.8** | **1,427.5** |
| შრომის ანაზღაურება | 2,949.8 | 4,016.3 | 3,826.4 | 189.9 | 5,129.3 | 4,903.3 | 226.0 |
| საქონელი და მომსახურება | 4,473.0 | 5,930.3 | 5,351.3 | 578.9 | 10,923.4 | 9,970.9 | 952.5 |
| პროცენტები | 65.0 | 62.3 | 62.3 | - | 65.8 | 65.8 | - |
| სუბსიდიები | 10,472.0 | 13,770.9 | 13,572.0 | 199.0 | 16,327.6 | 16,078.6 | 249.0 |
| გრანტები | 42.0 | 42.0 | 42.0 | - | 42.0 | 42.0 | - |
| სოციალური უზრუნველყოფა | 1,001.2 | 1,156.7 | 1,156.7 | - | 1,548.8 | 1,548.8 | - |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სხვა ხარჯები | 969.1 | 788.5 | 688.6 | 99.9 | 1,639.3 | 1,639.3 | - |

## მუხლი 8. მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება **42 822,8** ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა **43 422,8** ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება **600.0** ათასი ლარი.

*ათასი ლარი*

| პროგ. კოდი | არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით | 2021 წლის ფაქტი | 2022 წლის ფაქტი | 2023 წლის გეგმა |
|---|---|---|---|---|
| **01 00** | **მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები** | **459.9** | **782.7** | **1,843.8** |
| 01 01 | საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა | 459.9 | 782.7 | 1,843.8 |
| **02 00** | **ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია** | **13,397.2** | **20,616.3** | **36,070.9** |
| 02 01 | საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება | 8,271.4 | 9,797.5 | 21,046.2 |
| 02 02 | წყლის სისტემების განვითარება | 1,432.1 | 2,143.9 | 2,949.9 |
| 02 03 | გარე განათების ქსელის მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია | 25.5 | 701.0 | 185.5 |
| 02 04 | მუნიციპალური, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია | 15.4 | 122.4 | 1,635.4 |
| 02 06 | კეთილმოწყობის ღონისძიებები | 690.5 | 2,454.9 | 2,551.0 |
| 02 07 | სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 593.1 | 679.5 | 2,218.0 |
| 02 08 | სანიაღვრე არხების, სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა/რეაბილიტაცია | 101.8 | 282.7 | 54.5 |
| 02 09 | მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, საექსპერტო და სამშენებლო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება | 632.0 | 573.8 | 1,983.3 |
| 02 10 | სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება | 1,635.4 | 3,860.8 | 3,447.2 |
| **03 00** | **დასუფთავება და გარემოს დაცვა** | **1.6** | **774.0** | **725.8** |
| 03 01 | დასუფთავება და ნარჩენების გატანა | 1.6 | 372.5 | 629.5 |
| 03 02 | მწვანე ნარგავების გაშენება, მოვლა-პატრონობა | - | 401.4 | 96.3 |
| **04 00** | **განათლება** | **402.4** | **638.8** | **1,293.3** |
| 04 01 | სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა | 110.9 | 97.5 | 3.2 |
| 04 02 | სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა | 134.7 | 323.0 | 1,285.8 |
| 04 04 | ზოგადი განათლების (საჯარო სკოლების) ხელშეწყობა | 156.8 | 218.3 | 4.4 |
| **05 00** | **კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი** | **1,407.9** | **1,854.3** | **3,488.2** |
| 05 01 | სპორტის სფეროს განვითარება | 1,186.4 | 1,541.8 | 3,097.7 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 05 02 | კულტურის სფეროს განვითარება | 221.5 | 312.5 | 390.5 |
| **06 00** | **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** | **417.7** | **507.6** | **0.8** |
| 06 01 | ჯანმრთელობის დაცვა | 417.3 | 505.2 | 0.0 |
| 06 02 | სოციალური დაცვა | 0.4 | 2.4 | 0.8 |
| | **არაფინანსური აქტივების ზრდა, ჯამი** | **16,086.6** | **25,173.7** | **43,422.8** |

*ათასი ლარი*

| არაფინანსური აქტივების კლება სახეების მიხედვით | 2021 წლის ფაქტი | 2022 წლის გეგმა | 2023 წლის პროექტი |
|---|---|---|---|
| **არაფინანსური აქტივების კლება, ჯამი** | **19,970.8** | **600.0** | **600.0** |
| ძირითადი აქტივები | 1,748.7 | 200.0 | 200.0 |
| არაწარმოებული აქტივები | 18,222.1 | 400.0 | 400.0 |

## მუხლი 9. მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

*ათასი ლარი*

| ფუნქციონალური კოდი | დასახელება | 2021 წლის ფაქტი | 2022 წლის ფაქტი | 2023 წლის გეგმა |
|---|---|---|---|---|
| **7.1** | **საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება** | **6,115.4** | **8,202.8** | **11,150.1** |
| 7.1.1 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები | 6,050.4 | 8,140.5 | 11,084.3 |
| 7.1.1.1 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა | 6,050.4 | 8,140.5 | 10,784.3 |
| 7.1.1.2 | ფინანსური და ფისკალური საქმიანობა | 0.0 | 0.0 | 300.0 |
| 7.1.8 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში | **65.0** | **62.3** | **65.8** |
| **7.2** | **თავდაცვა** | **185.7** | **246.4** | **294.4** |
| 7.2.2 | სამოქალაქო თავდაცვა | 185.7 | 246.4 | 294.4 |
| **7.4** | **ეკონომიკური საქმიანობა** | **10,454.8** | **14,470.5** | **27,996.5** |
| 7.4 5 | ტრანსპორტი | 8,271.4 | 9,970.7 | 22,369.8 |
| 7.4 5 1 | საავტომობილო ტრანსპორტი და გზები | 8,271.4 | 9,970.7 | 22,369.8 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 7.4 9 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში | 2,183.4 | 4,499.8 | 5,626.7 |
| **7.5** | **გარემოს დაცვა** | **1,823.0** | **3,369.6** | **3,574.6** |
| 7.5 1 | ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება | 1,703.2 | 2,805.0 | 3,125.0 |
| 7.5 3 | გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა | 119.770 | 564.6 | 225.0 |
| 7.5 4 | ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა | | | 224.6 |
| **7.6** | **საბინაო კომუნალური მეურნეობა** | **6,319.0** | **10,641.5** | **16,089.5** |
| 7.6 1 | ბინათმშენებლობა | 55.3 | 253.2 | 1,919.8 |
| 7.6 2 | კომუნალური მეურნეობის განვითარება | 1,905.6 | 2,271.2 | 5,351.3 |
| 7.6 3 | წყალმომარაგება | 2,381.3 | 3,760.0 | 4,264.4 |
| 7.6 4 | გარე განათება | 1,136.6 | 2,017.3 | 1,865.5 |
| 7.6 6 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში | 840.2 | 2,339.8 | 2,688.6 |
| **7.7** | **ჯანმრთელობის დაცვა** | **248.7** | **294.5** | **301.0** |
| 7.7 4 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 248.7 | 294.5 | 301.0 |
| **7.8** | **დასვენება, კულტურა და რელიგია** | **4,033.2** | **4,965.2** | **7,560.0** |
| 7.8 1 | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში | 2,581.4 | 3,115.7 | 5,223.8 |
| 7.8 2 | მომსახურება კულტურის სფეროში | 1,451.8 | 1,849.6 | 2,316.2 |
| 7.8 4 | რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა | 0.0 | 0.0 | 20.0 |
| **7.9** | **განათლება** | **4,951.4** | **6,796.9** | **9,514.5** |
| 7.9 1 | სკოლამდელი აღზრდა | 4,453.8 | 6,113.3 | 8,964.5 |
| 7.9 2 | ზოგადი განათლება | 497.5 | 683.7 | 550.0 |
| 7.9 2 3 | საშუალო ზოგადი განათლება | 497.5 | 683.7 | 550.0 |
| **7 10** | **სოციალური დაცვა** | **1,927.5** | **1,953.4** | **2,618.4** |
| 7 10 1 | ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა | 651.5 | 787.1 | 900.0 |
| 7 10 3 | მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა | 79.4 | 98.0 | 125.7 |
| 7 10 4 | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 640.7 | 375.0 | 1,365.8 |
| 7 10 9 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში | 555.9 | 693.2 | 227.0 |
| | **სულ** | **36,058.7** | **50,940.7** | **79,099.1** |

## მუხლი 10. მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს (-36 760,9 ) ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 6 062,0 ათასი ლარით:

*ათასი ლარი*

| დასახელება | 2021 წლის ფაქტი | 2022 წლის ფაქტი | 2023 წლის გეგმა |
|---|---|---|---|
| საოპერაციო სალდო | 14,817.0 | 12,887.8 | 6,062.0 |
| მთლიანი სალდო | 18,701.2 | 1,079.8 | - 36,760.9 |

### მუხლი 11. მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება (**-36 886,7**) ათასი ლარის ოდენობით.

*ათასი ლარი*

| დასახელება | 2021 წლის ფაქტი | 2022 წლის ფაქტი | 2023 წლის გეგმა |
|---|---|---|---|
| **ფინანსური აქტივების ცვლილება** | **18,575.5** | **433.4** | **-36,886.7** |
| **ზრდა** | **18,575.5** | **954.1** | **0.0** |
| ვალუტა და დეპოზიტი | 18,575.5 | 954.1 | 0.0 |
| **კლება** | **0.0** | **520.6** | **36,886.7** |
| ვალუტა და დეპოზიტი | 0.0 | 520.6 | 36,886.7 |

ფინანსური აქტივების კლება **36 886,7** ათასი ლარი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სახაზინო ანგარიშზე არსებულ ნაშთს, რომლის გამოყენებაც მოხდება 2023 წლის განმავლობაში.

### მუხლი 12. მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება (-**125.8**) ათასი ლარის ოდენობით.

*ათასი ლარი*

| დასახელება | 2021 წლის ფაქტი | 2022 წლის გეგმა | 2023 წლის გეგმა |
|---|---|---|---|
| ვალდებულებების ცვლილება | -125.7 | -125.7 | -125.8 |
| **კლება** | **125.7** | **125.7** | **125.8** |
| საშინაო | 125.7 | 125.7 | 125.8 |
| სესხები | 125.7 | 125.7 | 125.8 |

ბიუჯეტის ვალდებულებების კლება 125.8 ათასი ლარის ოდენობით წარმოადგენს სსიპ „მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და მცხეთის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის“ ქონების გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას (5 ცალი კომპაქტორიანი თვითმცლელი ნაგავმზიდი მანქანის და 200 ცალი ნარჩენების კონტეინერის შეძენის მიზნით).

## თავი II

## მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები,პროგრამები, ქვეპროგრამები

### მუხლი 13. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 44 086,0 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათასი ლარი

| პროგრამული კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა | 2023 წლის გეგმა |
|---|---|---|
| **02 00** | **ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია** | **44,086.0** |
| **02 01** | **საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება** | **22,369.8** |
| 02 01 01 | გზების მოვლა-შენახვა და მიმდინარე შეკეთება | 800.0 |
| 02 01 02 | გზების კაპიტალური შეკეთება | 14,517.6 |
| 02 01 03 | გზების კეთილმოწყობა | 7,052.2 |
| **02 02** | **წყლის სისტემების განვითარება** | **4,594.9** |
| 02 02 01 | სასმელი წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა | 1,510.0 |
| 02 02 02 | სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია | 2,754.4 |
| 02 02 03 | საკანალიზაციო სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია | 330.5 |
| **02 03** | **გარე განათების ქსელის მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია** | **1,865.5** |
| 02 03 01 | გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია | 1,680.0 |
| 02 03 01 01 | გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება | 1,320.0 |
| 02 03 01 02 | გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა | 360.0 |
| 02 03 02 | გარე განათების ქსელის მოწყობა, რეაბილიტაცია | 185.5 |
| **02 04** | **მუნიციპალური, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია** | **1,919.8** |
| **02 06** | **კეთილმოწყობის ღონისძიებები** | **4,280.1** |

| | | |
|---|---|---|
| | | |
| 02 06 01 | საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (სკვერები და მოსაცდელები) | 2,688.6 |
| 02 06 02 | დაზიანებული მუნიციპალური ქონების მოვლა-პატრონობა | 80.0 |
| 02 06 03 | სადღესასწაულო ღონისძიებები | 1,511.5 |
| **02 07** | **სოფლის მხარდაჭერის პროგრამა** | **2,749.0** |
| **02 08** | **სანიაღვრე არხების, სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა/რეაბილიტაცია** | **178.5** |
| **02 09** | **მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, საექსპერტო და სამშენებლო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება** | **2,093.3** |
| **02 10** | **სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება** | **4,035.2** |

| პროგრამის დასახელება | კოდი | საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება | **2023 წლის დაფინანსება** ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 02 01 | | **22,369.8** |
| პროგრამის განმახორციელებელი | მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური; | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის გზის საფარის სიგრძე დღეის მდგომარეობით შეადგენს 189.6 კმ-ს. საგზაო სტანდარტებს აკმაყოფილებს დაახლოებით 30 პროცენტი. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაზიანებული ამორტიზებული გზების კაპიტალური (მათ შორის ხიდების, ბოგირების, ტროტუარების, ბორდიურების, საყრდენი კედლების და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების) შეკეთება/რეაბილიტაცია; პროგრამის ფარგლებში ასევე ყურადღება ექცევა რეაბილიტირებული გზების მოვლას, რაც გულისხმობს ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა-რეაბილიტაციას (მათ შორის ე.წ. ორმოული შეკეთება), არაასფალტირებული ქუჩების გრუნტის საფარის მოსწორებას, მოხრეშვა-მოშანდაკებას, გზების დახაზვას, სიჩქარის შემზღუდველი ბარიერების მონტაჟს.<br><br>პროგრამის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი და ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი სახსრები.<br><br>პროგრამის ფარგლებში ფინანსდება 3 ქვეპროგრამა:<br><br>- გზების მოვლა-შენახვა და მიმდინარე შეკეთება;<br><br>- გზების კაპიტალური შეკეთება;<br><br>- გზების კეთილმოწყობა.<br><br>**გზების მოვლა-შენახვა და მიმდინარე შეკეთების** ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზებული გზების და მიმდებარე ტერიტორიების მოვლა-შენახვა და მიმდინარე შეკეთება.<br><br>**გზების კაპიტალური შეკეთების** ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზებული გზების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია, არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის განახლება.<br><br>**გზების კეთილმოწყობის** ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ტროტუარების, ბორდიურების მოწყობა, გზების გამწვანება, საყრდენი კედლების მოწყობა-რეაბილიტაცია, გზებზე ვიდეოკამერების განთავსება.<br><br>პროგრამის მიზანია მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შიდა საუბნო გზების (მათ შორის, ხიდების, ტროტუარების და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების) რეაბილიტაცია, მუნიციპალიტეტის საჭიროებებიდან და მოსახლეობის მოთხოვნებიდან გამომდინარე ახალი გზების მშენებლობა, არსებული გზების მაღალი ხარისხის შენარჩუნება, მგზავრთა გადაადგილების დროის შემცირება, ავტოსატრანსპორტო საშუალებების ცვეთის შემცირება, ტურიზმის ხელშეწყობა, მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. | | |
| | მუნიციპალიტეტის გზებზე უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება; | | |

| | |
|---|---|
| მოსალოდნელი შედეგი | გზების ექსპლუატაციის გაზრდილი პერიოდი;<br><br>ადგილობრივი გზების მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა. |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | გზების მოვლა-შენახვა და მიმდინარე შეკეთება | 2023 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 02 01 01 | | 800.0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზებული გზების და მიმდებარე ტერიტორიების მოვლა-შენახვა და მიმდინარე შეკეთება.<br><br>ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია გენდერულად მგრძნობიარე საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა, შშმ პირთა და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთა საჭიროებების გათვალისწინებით გზების ადაპტირება.<br><br>ქვეპროგრამის მიზანია: არსებული გზების მაღალი ხარისხის შენარჩუნება; არსებული გზების ექსპლუატაციის ვადის გაზრდა; მგზავრთა გადაადგილების დროის შემცირება; ტურიზმის ხელშეწყობა; გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) მიღწევა, კერძოდ, მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა და მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები;<br><br>2023 წელს განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაზიანებული საავტომობილო გზების ორმოული შეკეთება. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | არსებული გზების ექსპლუატაციის ვადის გაზრდა;<br><br>მუნიციპალიტეტის გზებზე უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება;<br><br>გენდერული ასპექტების გათვალისწინებით მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა; | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | გზების კაპიტალური შეკეთება | 2023 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 02 01 02 | | 14,517.6 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზებული გზების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია, არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის განახლება. პროგრამის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი, ასევე ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი სახსრები.<br><br>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის გზის საფარის სიგრძე შეადგენს 189.6 კმ. მიმდინარე პერიოდისათვის მუნიციპალური გზების 30% სრულად რეაბილიტირებულია, დარჩენილ ნაწილზე მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხოლო ნაწილზე იგეგმება შესაბამისი სამუშაოების ჩატარება. სარეაბილიტაციო გზების შერჩევა და პრიორიტეტიზაცია ხორციელდება მოსახლეობის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე მხედველობაში მიიღება სტიქიური მოვლენების შედეგების აღმოფხვრა და სხვა წინასწარ გაუთვალისწინებელი ღონისძიებები.<br><br>ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია გენდერულად მგრძნობიარე საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა, შშმ პირთა და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთა საჭიროებების გათვალისწინებით გზების ადაპტირება.<br><br>ქვეპროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის შიდა საუბნო გზების (მათ შორის, ხიდების, ტროტუარების) სრული რეაბილიტაცია; მუნიციპალიტეტის საჭიროებებიდან და მოსახლეობის მოთხოვნებიდან გამომდინარე ახალი გზების | | |

| | |
|---|---|
| | მშენებლობა; არსებული გზების მაღალი ხარისხის შენარჩუნება; მგზავრთა გადაადგილების დროის შემცირება; ტურიზმის ხელშეწყობა; მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება; გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) მიღწევა, კერძოდ, მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა და მიზანი 11 –<br><br>მდგრადი ქალაქები და დასახლებები;<br><br>2023 წელს განხორციელდება შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია და ასფალტ-ბეტონის საფარით მოწყობა სოფლებში: წოდორეთი, ნაფეტვრები (ნაფეტვრები 2), წინამძღვრიანთკარი, საგურამო, ზაქარო, გალავანი, მსხალდიდი, ძეგვი (ნაკურთხევის გზა), ციხისძირი, მისაქციელი, წილკანი, წეროვანი, კოტორაანთკარი, ხოდაბუნები, ქსოვრისი, მუხრანი (აბანოს უბანი, ინდუაანთ უბანი, მერებაანთ უბანი, გალაშკას უბანი - მეორე მონაკვეთი, კვირაცხოვლის უბანი), ძალისი (ხეტიაანთ უბანი, პავლიაანთ უბანი), მუხათგვერდი, ნატახტარი, ახალუბანი, ლისი, მისაქციელი (მე-8 და მე-11 მონაკვეთები), საგურამო (მე-2 და მე-6 ქუჩა), არაშენდა; შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია ქალაქ მცხეთაში: ნიჩბოსნობის ბაზასთან მისასვლელი გზა, ბებრის ციხესთან მისასვლელი გზა, რუსთაველის ქუჩა, რუსთაველის ჩიხი, ჭავჭავაძის ქუჩა; გამარჯვების ქუჩის მესამე შესახვევი, კონსტიტუციის და გორგასლის ქუჩების დამაკავშირებელი გზა, სამხედროს და კონსტიტუციის ქუჩების დამაკავშირებელი გზა. |
| მოსალოდნელი შედეგი | გენდერული ასპექტების გათვალისწინებით მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა;<br><br>მგზავრთა კომფორტული, უსაფრთხო გადაადგილება და შემცირებული მგზავრობის დრო;<br><br>სამედიცინო, სახანძრო და სხვა დახმარების ბრიგადების მიერ დროულად გაწეული დახმარება;<br><br>არსებული გზების გაზრდილი ექსპლუატაციის ვადა ;<br><br>მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | გზების კეთილმოწყობა | 2023 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 02 01 03 | | 7,052.2 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური; | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ტროტუარების, ბორდიურების მოწყობა, გზების გამწვანება, მიმდინარე შეკეთება, საყრდენი კედლების მოწყობა-რეაბილიტაცია, ვიდეო სამეთვალყურეო სისტემების მონტაჟი;<br><br>ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია გენდერულად მგრძნობიარე საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა, საავტომობილო გზის სავალ ნაწილზე ჰორიზონტალური მონიშვნის და საგზაო ნიშნების მოწყობის სამუშაოები, ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელებისა და სიჩქარის შემზღუდავი საშუალებების მოწყობა საზოგადოებრივი მნიშვნელობის ობიექტებთან; შშმ პირთა და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთა საჭიროებების გათვალისწინებით გზების ადაპტირება.<br><br>ქვეპროგრამის მიზანია, საფეხმავლო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის განხორციელება, როგორც ვიზუალური გაუმჯობესების კუთხით, ასევე შშმ პირებისათვის ადაპტაციის მიმართულებით; გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) მიღწევა, კერძოდ, მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა და მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები;<br><br>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად პირველ რიგში შეიცვლება ქალაქის იერსახე, გამოსწორდება საფეხმავლო ინფრასტრუქტურა, რაც გაზრდის ქალაქით დაინტერესებულ ადამიანთა რიცხვს.<br><br>2023 წელს დაგეგმილია გზებზე ვიდეო სამეთვალყურეო სისტემების მონტაჟი; სიჩქარის შემზღუდველი ბარიერების მოწყობა; მუნიციპალიტეტის სოფლებში გზების მიმდინარე შეკეთება; სოფელ საგურამოში, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმამდე მისასვლელი გზის გამყოფი ზოლის კეთილმოწყობა; ტროტუარებისა და ბორდიურების რეაბილიტაცია ქ. მცხეთაში, აღმაშენებლის ქუჩაზე (არსენას ძეგლიდან მტკვარზე არსებულ ხიდამდე და ფოსტიდან არსენას ძეგლის ხიდამდე); ფოსტიდან სვეტიცხოვლის შესასვლელამდე (გამსახურდიას ქუჩის დასაწყისი); შადრევნიდან ბაზრის ჩასახვევამდე; ქ. მცხეთაში გარე განათებისა და ტროტუარების მოწყობა ბებრის ციხიდან ნარეკვავამდე, ქ. მცხეთაში, კოსტავას ქუჩაზე ტროტუარების, ბორდიურების და საყრდენი კედლების რეაბილიტაცია; ქ. მცხეთაში, აღმაშენებლის ქუჩაზე, ქალაქის შემოსასვლელში არსებული ხიდის მიმდებარედ მტკვარზე გადასახადი მოედნის მოწყობა, სამხედროს ქუჩაზე საყრდენი კედლების, ტროტუარების და ბორდიულების რეაბილიტაცია, მირიანის ქუჩაზე არსებული საყრდენი კედლის რეაბილიტაცია, სოფ. მუხათწყაროში (ს.კ.72.16.06.008) საყრდენი კედელის მოწყობა; | | |
| მოსალოდნელი შედეგი | გენდერული ასპექტების გათვალისწინებით მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა;<br><br>უზრუნველყოფილია ავტოტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა (ბავშვების, ქალების, შშმ პირების, მოხუცების და სხვა) უსაფრთხო გადაადგილება; გაუმჯობესებულია ქალაქის იერსახე; | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | წყლის სისტემების განვითარება | 2023 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 02 02 | | 4,594.9 |
| პროგრამის განმახორციელებელი | მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;<br><br>შპს "მცხეთის სოფწყალი"; | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სასმელი წყლით უწყვეტი მომარაგება მცხეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მირითად პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ფინანსდება წყლის სისტემების განვითარების პროგრამა, რომელიც მოიცავს როგორც წყალმომარაგების არსებული ქსელის მოვლა-შენახვის ღონისძიებებს, ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას.<br><br>პროგრამის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი, ასევე ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი სახსრები.<br><br>წყლის სისტემების განვითარების პროგრამა შედგება 3 ქვეპროგრამისაგან:<br><br>- სასმელი წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა;<br><br>- სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია;<br><br>- საკანალიზაციო სისტემის მოწყობა - რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია.<br><br>წყლის სისტემების მოვლა-პატრონობის ქვეპროგრამა ითვალისწინებს მცხეთის მუნიციპალიტეტის 62 სოფელში (12500 მომხმარებელი) ადგილობრივი დანიშნულების წყალმომარაგების ქსელის გამართულ და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფას.<br><br>წყლის სისტემების რეაბილიტაციის ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყალმომარაგების ქსელის (მათ შორის, წყლის სათავე ნაგებობების, წყლის მაგისტრალების და სხვა) კაპიტალურ რეაბილიტაციას. საჭიროების შემთხვევაში განხორციელდება ახალი წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოები.<br><br>წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგების პროცესში გათვალისწინებული იქნება გენდერული საჭიროებები და სამუშაოების განხორციელების შედეგად მოეწყობა გენდერულად მგრძნობიარე ინფრასტრუქტურა. წყალმომარაგების სისტემის მოწყობისა და მოსახლეობისთვის სასმელი წყლის მიწოდების შედეგად გაუმჯობესდება საცხოვრებელი პირობები, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალებისათვის. გენდერული როლების გათვალისწინებით სოფლად მცხოვრები ქალები მეტად არიან ჩართული შინამეურნეობის მართვაში. გამართული წყალმომარაგება ქალებს შეუმსუბუქებს საოჯახო საქმეებს და ნაკლებად მოუწევთ ფიზიკური შრომა (შორი მანძილიდან წყლის მოტანა, ხელით რეცხვა და სხვა), ექნებათ სხვადასხვა საოჯახო ტექნიკის გამოყენების საშუალება, შესაბამისად, დაეზოგებათ დრო და შემცირდება აუნაზღაურებად შრომაში მათ ჩართულობის ხანგრძლივობა.<br><br>პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში სუფთა სასმელი წყლის შეუფერხებელი მიწოდება; მუნიციპალიტეტის სოფლებში წყალმომარაგების გამართული ქსელის შენარჩუნება; გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) მიღწევა, კერძოდ, მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა, და მიზანი 6 - სუფთა წყალი და სანიტარია; | | |
| მოსალოდნელი შედეგი | გენდერული ასპექტების გათვალისწინებითაა მოწყობილი წყალმომარაგების სისტემა;<br><br>გაუმჯობესებულია სანიტარული პირობები;<br><br>მოსახლეობისთვის შექმნილია კომფორტული გარემო; | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სასმელი წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა | 2023 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 02 02 01 | | 1,510.0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | შპს "მცხეთის სოფწყალი" | | |

| | |
|---|---|
| | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამა ითვალისწინებს მცხეთის მუნიციპალიტეტის 62 სოფელში (12500 მომხმარებელი) ადგილობრივი დანიშნულების წყალმომარაგების ქსელის გამართული და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფას, რომელიც გულისხმობს შემდეგი სამუშაოების შესრულებას: მუნიციპალიტეტის სოფლების დაქსელვა და არსებული წყლის რეზერვუარების გაწმენდა-შეკეთება; მწყობრიდან გამოსული წყლის მილების შეკეთება და გამოცვლა; ამორტიზებული და დაზიანებული ტუმბოების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება.<br><br>2022 წელს ავარიული გამოძახებების რაოდენობამ შეადგინა 404 ერთეული, რომელთაგან ფაქტობრივად ყველა აღმოიფხვრა, შემკრები ავზების (რეზერვუარების) რაოდენობამ შეადგინა 109 ერთეული, წყლის გამანაწილებელი ქსელის სიგრძემ შეადგინა 353547 კმ.<br><br>დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სუბსიდია. |
| მოსალოდნელი შედეგი | მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში დროულად აღმოფხვრილია დაზიანებები ;<br><br>მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში უზრუნველყოფილია სუფთა სასმელი წყლის შეუფერხებელი მიწოდება; მუნიციპალიტეტის სოფლებში შენარჩუნებულია წყალმომარაგების გამართული ქსელი.<br><br>გენდერული ასპექტების გათვალისწინებით რეაბილიტირებულია წყალმომარაგების სისტემა; |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია | **2023 წლის დაფინანსება** ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | **02 02 02** | | **2,754.4** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყალმომარაგების ქსელის (მათ შორის, წყლის სათავე ნაგებობების, წყლის მაგისტრალების და სხვა) კაპიტალურ რეაბილიტაციას გენდერული ასპექტების გათვალისწინებით. საჭიროების შემთხვევაში განხორციელდება ახალი წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოებიც. ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი, ასევე ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი სახსრები.<br><br>ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით პროექტების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით.<br><br>2023 წელს დასრულდება სასმელი წყლის ჭაბურღილის და მაგისტრალური მილსადენების მოწყობა სოფლებში: ძალისი, ნიჩბისი, ბიწმენდი;<br><br>განხორციელდება სოფ. შანკევანში სასმელი წყლის ჭაბურღილის და მაგისტრალური მილსადენის მოწყობა; ქ. მცხეთაში შადრევნის (გვირილასთან) რეაბილიტაცია; სოფ. ძალისში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია; მრავალსაფეხურიანი ჰორიზონტალური სექციური ტუმბოების შეძენა; სოფ. ხეკორძში სასმელი წყლის მილსადენის მოწყობა, სოფ.ერედის წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში სასმელი წყლის შეუფერხებელი მიწოდება, სოფლებში წყალმომარაგების გამართული ქსელის შენარჩუნება. | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | საკანალიზაციო სისტემის მოწყობა - რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია | **2023 წლის დაფინანსება** ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | **02 02 03** | | **330.5** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური; | | |
| | ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში საკანალიზაციო სისტემის ექსპლუატაციისა და ჩამდინარე წყლების გადასამუშავებელი კოლექტორების, მილგაყვანილობის და წყალსაქაჩის დამონტაჟება-რეაბილიტაცია. ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი სახსრები. | | |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | 2023 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საკანალიზაციო სისტემების გაწმენდა მუნიციპალიტეტის სოფლებში: საგურამო, ძეგვი, წეროვანი, წინამძღვრიანთკარი, ქალაქი მცხეთა (არმაზის დასახლება), სოფ. საგურამოში საკანალიზაციო მილსადენის რეაბილიტაცია, სოფ. წინამძღვრიანთკარში საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია. |
| მოსალოდნელი შედეგი | გამართული კომუნალური ინფრასტრუქტურა;<br><br>გაუმჯობესებული სანიტარული პირობები;<br><br>მოსახლეობისთვის კომფორტული გარემოს შექმნა. |

| პროგრამის დასახელება | კოდი | გარე განათების ქსელის მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია | 2023 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 02 03 | | 1,865.5 |
| პროგრამის განმახორციელებელი | მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;<br><br>ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“; | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისთვის და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართული გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. მცხეთაში და 22 ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფლებში, გარე განათების ქსელით მოცულია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის 90%. პროგრამის ასიგნებების მნიშვნელოვანი ნაწილი მოიცავს საექსპლუატაციო ხარჯებს, მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურებას. ხანგრძლივობის მიხედვით, ექსპლუატაციის ნაწილში პროგრამა არის მუდმივმოქმედი.<br><br>**გარე განათების ქსელის მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია** პროგრამა მოიცავს:<br><br>- გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურებას;<br><br>- გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობას;<br><br>- გარე განათების ქსელის მოწყობა-რეაბილიტაციას.<br>გარე განათების პროგრამა შინაარსის ტიპის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ინფრასტრუქტურული ხასიათის, ასევე - მომსახურების. კაპიტალური ნაწილი მოიცავს გარე განათების ქსელის გაფართოება-გაუმჯობესების ღონისძიებებს, ხოლო მომსახურების ნაწილი - გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურებას, არსებული ქსელის ექსპლუატაციას, რომელსაც ახორციელებს ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“.<br><br>გარე განათების სისტემის მოწყობა გენდერულად მნიშვნელოვანია, რადგან გაუნათებელი ქუჩები განსაკუთრებით რისკის შემცველია ქალების, ბავშვების, ხანდაზმული და შშმ პირებისთვის. გარე განათების სისტემის გამართული ფუნქციონირება ამცირებს დანაშაულის რისკებს.<br>ექსპლუატაციის ხარჯების დაფინანსება განხორციელდება მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან.<br><br>პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების სისტემის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში შეძლებს უზრუნველყოს გარე განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება, მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის სრულად მოცვა გარე განათებით;<br><br>გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) მიღწევა: მიზანი 7 - ხელმისაწვდომი და მდგრადი ენერგია; მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები; | | |
| მოსალოდნელი შედეგი | გენდერული ასპექტების გათვალისწინებით მოწყობილი გარე განათების სისტემა;<br><br>ღამის საათებში მოსახლეობისა (განსაკუთრებით ქალების, ბავშვების, ხანდაზმულებისა და შშმ პირების) და სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება. | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება | 2023 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 02 03 01 01 | | 1,320.0 |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური; | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. ქვეპროგრამისთვის გათვალისწინებული ასიგნებები ხმარდება მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული გარე განათების წერტილების (8500 ერთეული) მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯების ანაზღაურებას. ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი სახსრები.<br><br>ქვეპროგრამის მიზანია გარე განათების ქსელის შეუფერხებელი ფუნქციონირება. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | უზრუნველყოფილია ღამის საათებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობის (განსაკუთრებით ქალების, ბავშვების, ხანდაზმულებისა და შშმ პირების) და სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება. | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა | 2023 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 02 03 01 02 | | 360.0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“ | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისთვის და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართული გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. მუნიციპალურ ბიუჯეტში წარმოდგენილი გარე განათების პროგრამის ფარგლებში სწორედ გარე განათების სისტემის განვითარებისა და ექსპლუატაციისთვის საჭირო ხარჯები ფინანსდება.<br><br>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. მცხეთაში და 22 ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ 60 სოფელში, გარე განათების ქსელით მოცულია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაახლოებით 90%. გარე განათების სისტემა მოიცავს 1500-ზე მეტს განათებისა და ელექტროგაყვანილობის ბოძს, 332500 გრძივ მეტრზე მეტ სადენს და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურას. ყოველდღიურად ხდება ქალაქ მცხეთის ქუჩების, სკვერების, არქიტექტურული ძეგლების განათების 2 036 წერტილის და 60 სოფლის გარე განათების 10699 წერტილის ექსპლუატაცია.<br><br>ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლუატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:<br>- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა;<br>- ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება;<br>- დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთება.<br><br>დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სუბსიდია.<br><br>ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი გარე განათების სისტემის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში შეძლებს, უზრუნველყოს გარე განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება, ასევე, მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის სრულად მოცვა გარე განათებით. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | მთელი წლის მანძილზე გარე განათების სისტემის გამართული ფუნქციონირება. პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების დროული აღმოფხვრა. მუნიციპალიტეტში გარე განათების ქსელით მოცული დასახლებული ტერიტორიის 90%. | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | გარე განათების ქსელის მოწყობა, რეაბილიტაცია | 2023 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 02 03 02 | | 185.5 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური; | | |
| | ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისთვის და კომფორტული გარემოს შექმნისთვის | | |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართული გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. მუნიციპალურ ბიუჯეტში წარმოდგენილი გარე განათების პროგრამის ფარგლებში სწორედ გარე განათების სისტემის განვითარებისათვის საჭირო ხარჯები ფინანსდება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. მცხეთაში და 22 ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ 54 სოფელში, გარე განათების ქსელით მოცულია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაახლოებით 90%.<br><br>ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი გარე განათების სისტემის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში შეძლებს, უზრუნველყოს გარე განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება, ასევე, მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის სრულად მოცვა გარე განათებით.<br><br>დაგეგმილია სოფ. ქსანში ისტორიულ ციხეზე მინათებების მოწყობა. |
| მოსალოდნელი შედეგი | მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ის ნაწილი, სადაც მოწყობილია გარე განათების ქსელი, განათებული იქნება სრულად, ხოლო პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების აღმოფხვრა მოხდება ოპერატიულად. |

| პროგრამის დასახელება | კოდი | მუნიციპალური, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია | 2023 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 02 04 | | 1,919.8 |
| პროგრამის განმახორციელებელი | მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მრავლად არის შენობა-ნაგებობები და სხვადასხვა ობიექტი, რომლებიც ამ ეტაპზე არ გამოიყენება მუნიციპალიტეტის საჭიროებებისათვის და შესაძლოა განხორციელდეს მათი ეტაპობრივი პრივატიზაცია. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები მათი არსებული მდგომარეობის შენარჩუნებისა და უცხო პირთა ხელყოფისაგან დაცვის მიზნით. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა.<br><br>პროგრამის მიზანია, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეიქმნას სუფთა კომფორტული მიმზიდველი გარემო ადგილობრივი მცხოვრებლებისთვის და ქალაქის ვიზიტორებისათვის; გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) მიღწევა, კერძოდ, მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები;<br><br>2023 წელს პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის მოვლა-პატრონობა; ქ. მცხეთაში, მირიანის ქუჩაზე არსებული სანიტარული კვანძის რეაბილიტაცია; სოფ. წეროვანში, ადმინისტრაციული, სასაწყობე და სადარაჯე შენობების, რეაბილიტაცია (კეთილმოწყობის სამსახურის და სოფწყალის განთავსების შენობები); იმ შენობა-ნაგებობების დემონტაჟი, რომლებიც ამახინჯებენ მუნიციპალიტეტის იერსახეს ან/და სიცოცხლისთვის/ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველნი არიან. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | გამართული კომუნალური ინფრასტრუქტურა;<br><br>მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობაზე გაუმჯობესებული ზედამხედველობა;<br><br>რეაბილიტირებული შენობა-ნაგებობები. | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | კეთილმოწყობის ღონისძიებები | 2023 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 02 06 | | 4,280.1 |
| პროგრამის განმახორციელებელი | მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;<br><br>ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“; | | |
| | პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკვერების, მოსაცდელების | | |

| | |
|---|---|
| პროგრამის აღწერა და მიზანი | მოწყობა/რეაბილიტაცია, სასაფლაოების მოვლა-პატრონობა, ასევე, განხორციელდება ქალაქის გაფორმება სადღესასწაულო ღონისძიებებისთვის, სადღესასწაულო კომფორტული გარემოს შექმნა, მოსახლეობის განწყობის ამაღლება.<br><br>კეთილმოწყობის ღონისძიებების პროგრამა შედგება 4 ქვეპროგრამისაგან:<br><br>- საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია (სკვერები და მოსაცდელები);<br><br>- დაზიანებული მუნიციპალური ქონების მოვლა-პატრონობა;<br><br>- სადღესასწაულო ღონისძიებები;<br><br>- სასაფლაოების მოვლა-პატრონობა.<br><br>პროგრამის განხორციელებისას გათვალისწინებული იქნება გენდერული ასპექტები. მოეწყობა გენდერულად პასუხისმგებლიანი ღია დასასვენებელი სივრცეები, გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისთვის ქალების და კაცების ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით დაიგეგმება ინფრასტრუქტურა, რათა მოსახლეობამ, მათ შორის მოწყვლადი ჯგუფების (შშმ პირებს, ახალგაზრდებს, მოხუცებს, ბავშვებს და ქალებს) წარმომადგენლებმა შეუფერხებლად შეძლონ ღია საზოგადოებრივი სივრცეებით სარგებლობა.<br><br>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესება, კომფორტული და ჯანსაღი გარემოს შექმნა მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებისა და სტუმრებისათვის; გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) მიღწევა: მიზანი 5- გენდერული თანასწორობა; მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები; |
| მოსალოდნელი შედეგი | გენდერული ასპექტების გათვალისწინებით აღდგენილი და ახლად მოწყობილი სკვერები, მოსაცდელები;<br><br>მოსახლეობის კომფორტული დასვენებისთვის შექმნილი გარემო. |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლუ ატაცია (სკვერები და მოსაცდელები) | 2023 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 02 06 01 | | 2,688.6 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტტეის იერსახის გაუმჯობესების მიზნით განხორციელდება მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკვერების, მოსაცდელების მოწყობა - რეაბილიტაცია და სკვერებში არსებული სასმელი წყლის და შადრევნის წყლის ხარჯის დაფინანსება.<br><br>მიმდინარე წელს დაფინანსდება ქ. მცხეთაში, ნარეკვავის დასახლებაში, სააკაძის ქუჩის ბოლოში არსებული სკვერის მოწყობა, ქ. მცხეთაში, ღართიკარის დასახლებაში, სამხედროს ქ. N12 და N12ა-ზე არსებული სარეკრეაციო დასასვენებელი ზონების (სკვერების) რეაბილიტაცია, ქ. მცხეთაში, შოთა რუსთაველის ქუჩაზე სათამაშო მოედნების მოწყობა, სოფ. წილკანში, იგპ დასახლებაში მინი სპორტული მოედნისა და სკვერის რეაბილიტაცია, სოფ. წეროვანში, იგპ დასახლებაში სკვერის მოწყობა, სოფ. ციხისძირში ს/კ 72.10.03.337 და N8 კორპუსის მიმდებარედ არსებული სკვერების რეაბილიტაცია და ს/კ72.10.02.104-ის მიმდებარე ტერიტორიაზე ახალი სკვერის მოწყობა, სოფ. ქსანში სკვერის (ს/კ 72.10.08.127) მოწყობა; სოფ. პატარა ქანდაში, ქსანში, ძალისში და წინამძღვრიანთკარში სკვერების მოწყობა; | | |
| მოსალოდნელი შედეგი | გენდერული ასპექტების გათვალისწინებით აღდგენილი და ახლად მოწყობილი სკვერები და მოსაცდელები;<br><br>მოსახლეობის კომფორტული დასვენებისთვის შექმნილი გარემო; | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | დაზიანებული მუნიციპალური ქონების მოვლა-პატრონობა | 2023 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 02 06 02 | | 80.0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“ | | |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ მცხეთის ტერიტორიაზე არსებული დაზიანებული ბორდიურების და კედლების სარემონტო სამუშაოები, განათების ბოძების და მოაჯირების შეღებვა, ქალაქ მცხეთის ტერიტორიაზე არსებული ატრაქციონების, სკამების, ნაგვის კონტეინერების შეკეთება. დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სუბსიდია. |
| მოსალოდნელი შედეგი | წლის მანძილზე შეკეთებული დაზიანებული ბორდიურები და კედლები, ასევე შეღებილი მოაჯირები, განათების ბოძები და სკამები. |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სადღესასწაულო ღონისძიებები | 2023 წლის დაფინანსება<br>ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 02 06 03 | | 1,511.5 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახური; | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამა ითვალისწინებს სადღესასწაულო ღონისძიებების, განსაკუთრებით, მცხეთობის და საახალწლო ღონისძიებების უზრუნველყოფას, სადღესასწაულო კომფორტული გარემოს შექმნასა და მოსახლეობის განწყობის ამაღლებას. საახალწლოდ შესაბამისად განხორციელდება ქალაქის მორთვა საახალწლო დეკორატიული განათებებით; მოირთვება ქალაქ მცხეთის ცენტრალური მოედანი და მიმდებარე ქუჩები. ასევე, განხორციელდება ქალაქის გაფორმება სხვა სადღესასწაულო ღონისძიებებისთვის. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | სადღესასწაულო დღეებში მორთული ქალაქი;<br><br>მოსახლეობის სადღესასწაულო განწყობის ამაღლება;<br><br>მოსახლეობის კომფორტული დასვენებისთვის შექმნილი გარემო; | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 2023 წლის დაფინანსება<br>ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 02 07 | | 2,749.0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური; | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის დასახლებებში (სოფლებში), საერთო კრებების/რეგისტრირებულ ამომრჩევლებთან გამართული კონსულტაციების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად, სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება და მასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებების დაფინანსება. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | მოსახლეობის აქტიურობის გაზრდა, მოსახლეობის აზრის გათვალისწინება საკუთარი დასახლების (სოფლის) პრობლემების გადაწყვეტაში;<br>იმ მცირე პროექტების დაფინანსება, რომელთა პრიორიტეტულობასაც განსაზღვრავს კონკრეტული დასახლების (სოფლის) მოსახლეობის უმრავლესობა; | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | სანიაღვრე არხების, სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა/რეაბილიტაცია | 2023 წლის დაფინანსება<br>ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 02 08 | | 178.5 |
| პროგრამის განმახორციელებელი | მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური | | |

| | |
|---|---|
| | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში სანიაღვრე არხების მოწყობა, კოლექტორების და მილგაყვანილობის რეაბილიტაცია ჩამდინარე წყლის (წვიმის ან სხვა სახის ჩამდინარე წყლის) წარმოშობის ადგილიდან ზედაპირული წყლების ადგილამდე გასატანად, ასევე, სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა/რეაბილიტაციადა გაწმენდა.<br><br>ქვეპროგრამის მიზანია გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) მიღწევა: მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები; მიზანი 13 - კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგო ქმედებები;<br><br>2023 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლებში სარწყავი და სანიაღვრე არხების გაწმენდა; ქ, მცხეთაში, სამხედროს ქ.N70-ის მიმდებარედ რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობა; სოფ. მუხათწყაროში გზაზე რკინა/ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობა; |
| მოსალოდნელი შედეგი | აღდგენილი და შეკეთებული სანიაღვრე და სარწყავი არხები და ნაპირსამაგრი ნაგებობები, მათი გამართული ფუნქციონირება. |

| პროგრამის დასახელება | კოდი | მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, საექსპერტო და სამშენებლო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება | 2023 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 02 09 | | 2,093.3 |
| პროგრამის განმახორციელებელი | მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური და ზედამხედველობის სამსახური; | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ამ პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა. პროგრამის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი სახსრები.<br><br>საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების პროცესში გათვალისწინებული იქნება გენდერული ასპექტები. პროგრამის მიზანია, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, ასევე, პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით, საბოლოო ეტაპზე ხარისხიანი სამუშაოს მიღების უზრუნველყოფა და გაწეული ხარჯების ოპტიმიზაცია; გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) მიღწევა: მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები; | | |
| მოსალოდნელი შედეგი | ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დროულად და კვალიფიციურად მომზადება; შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი, ისე, რომ იგი აკმაყოფილებდეს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო ნორმებს (სტანდარტებს). | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება | 2023 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 02 10 | | 4,035.2 |
| პროგრამის განმახორციელებელი | მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური; | | |
| პროგრამის აღწერა | პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების, სამშენებლო სამუშაოების და მასთან დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების შესყიდვა. | | |

| | |
|---|---|
| და მიზანი | პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზიანებული ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების, ნაპირსამაგრების აღდგენითი სამუშაოები: სოფ. მსხალდიდში მეწყრით დაზიანებული საგზაო ინფრასტრუქტურის აღდგენა; ქ. მცხეთაში, სააკაძის ქუჩაზე სტიქიის შედეგად დაზიანებული საგზაო ინფრასტრუქტურის აღდგენა; ქ. მცხეთაში, ბებრის ციხის მიმდებარედ, მდ. არაგვის ხეობაში ნაპისამაგრის მოწყობა; სოფ. ბიწმენდში, ახატნის ხევის ნაპირსამაგრის მოწყობა; |
| მოსალოდნელი შედეგი | დროულად აღმოფხვრილი სტიქიური მოვლენების შედეგები;<br><br>მგზავრთა კომფორტული, უსაფრთხო გადაადგილება და მგზავრობის დროის შემცირება; |

## მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს

3 574,6 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

*ათასი ლარი*

| პროგრამული კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა | 2023 წლის გეგმა |
|---|---|---|
| **03 00** | **დასუფთავება და გარემოს დაცვა** | **3,574.6** |
| **03 01** | **დასუფთავება და ნარჩენების გატანა** | **3,125.0** |
| **03 02** | **მწვანე ნარგავების გაშენება, მოვლა-პატრონობა** | **369.6** |
| 03 02 01 | მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა | **145.0** |
| 03 02 02 | მწვანე ნარგავების გაშენება | **224.6** |
| **03 04** | **უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები** | **80.0** |

| პროგრამის დასახელება | **კოდი** | **დასუფთავება და ნარჩენების გატანა** | **2023 წლის დაფინანსება** ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | **03 01** | | **3,125.0** |
| პროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“ | | |
| | მცხეთის მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი ნაყოფიერად თანამშრომლობს მუნიციპალური განვითარების ფონდთან, რომლის ფარგლებშიც 2017 წელს მუნიციპალური განვითარების ფონდის სესხით განხორციელდა 200 ცალი ნაგვის კონტეინერის და 5 ცალი ნაგავმზიდი მანქანების შეძენა.<br>დასუფთავების ღონისძიებებთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება ხორციელდება მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან.<br>პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“ ახორციელებს ქალაქ მცხეთის (მათ შორის, ქალაქის სასაფლაოს ტერიტორია) და მუნიციპალიტეტში შემავალი 22 ადმინისტრაციული ერთეულის 40 სოფლიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას კასპის ნაგავსაყრელზე.<br><br>მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენის გატანაზე ყოველდღიურად მუშაობს 12 ნაგავმზიდი. მცხეთის მუნიციპალიტეტში სულ განთავსებულია 1570 ცალი 1,1 მ³ ტევადობის კონტეინერი. მათ შორის, ქ. მცხეთის ტერიტორიაზე - 210, სოფლებში - 1220, ხოლო ორგანიზაციებში -140 კონტეინერი. ყოველდღიურად ხდება ქ. მცხეთის 179,420 კვ.მ. ფართობის ქუჩების დაგვა-დასუფთავება, კოკისპირული წვიმების შედეგად ჩამოტანილი ქვიშისა და ნარჩენებისაგან ქუჩების გასუფთავება, ზამთარში, თოვლის გამო, გზებზე ტექნიკური მარილის მოყრა. | | |

| | |
|---|---|
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ნარჩენების მართვის პროცესში მოხდება გენდერული ასპექტების გათვალისწინება. მუნიციპალიტეტებში ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესება (კონტეინერების შეძენა) მოსახლეობისთვის, განსაკუთრებით კი ქალებისთვის მნიშვნელოვანია, რადგან ძირითადად ქალები არიან ჩართული საოჯახო საქმეებში და მათი არაანაზღაურებადი შრომის ნაწილია საყოფაცხოვრებო ნარჩენებზე ზრუნვა.<br>პროგრამის ფარგლებში სისტემატურად ხორციელდება ქალაქ მცხეთის ტერიტორიაზე არსებული 2426 გრძ/მ სიგრძის სანიაღვრე არხებისა და ჭების გაწმენდა წვიმის დროს ნიაღვრისაგან ჩამოტანილი ნარჩენებისაგან. დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სუბსიდია.<br><br>პროგრამისთვის გამოყოფილი ასიგნებები მოიცავს ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური"-ს ადმინისტრაციულ ხარჯებს.<br><br>მიმდინარე წელს დაგეგმილია 1 ერთეული ექსკავატორ-დამტვირთველის შეძენა.<br><br>პროგრამის მიზანია გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) მიღწევა: მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა;<br><br>მიზანი 12 - მდგრადი მოხმარება და წარმოება ; |
| მოსალოდნელი შედეგი | ეკოლოგიური და სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესება. |

| პროგრამის დასახელება | კოდი | 1. **მწვანე ნარგავების გაშენება, მოვლა-პატრონობა** | **2023 წლის დაფინანსება** ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | **03 02** | | **369.6** |
| პროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური" | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და სკვერების მოვლა-პატრონობა. კერძოდ, სკვერებსა და გამწვანებულ ტერიტორიებზე ჩატარდება მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიებები, ნიადაგის მომზადება, დასუფთავება, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, მორწყვა, შეწამვლა და საჭიროების შემთხვევაში შხამქიმიკატების შეტანა, ხე-მცენარეების გადაბელვა; განხორციელდება ქალაქის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და გზის ნაპირის გაცელვითი სამუშაოები. პროგრამის განხორციელებისას გათვალისწინებული იქნება გენდერული ასპექტები.<br><br>პროგრამის მიზანია გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) მიღწევა: მიზანი 15 - დედამიწის ეკოსისტემები; | | |
| მოსალოდნელი შედეგი | მოვლილი, გამწვანებული სკვერები;<br><br>გაუმჯობესებული ეკოლოგიური მდგომარეობა. | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | 2. **უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები** | **2023 წლის დაფინანსება** ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | **03 04** | | **80.0** |
| პროგრამის განმახორციელებელი | მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უმეთვალყურეოდ დარჩენილი ძაღლების დეჰელმეტიზაციის (ჭიაზე დამუშავება), დაჭერა-იზოლაციის, სტერილიზაციის, კასტრაციის, ვაქცინაციის (ანტირაბიული) და იდენტიფიკაციის (დანომრილი საჭდის ყურზე დამაგრება) მომსახურების შესყიდვა.<br><br>პროგრამის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი სახსრები.<br><br>პროგრამის მიზანია გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) მიღწევა: მიზანი 15 - დედამიწის ეკოსისტემები; | | |

| | |
|---|---|
| მოსალოდნელი შედეგი | მთელი წლის მანძილზე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უმეთვალყურეოდ დარჩენილი ცხოველების მოვლითი ღონისძიებები. |

## მუხლი 15. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს **9,514.5** ათასი ლარი. განათლების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

*ათასი ლარი*

| პროგრამული კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა | 2023 წლის გეგმა |
|---|---|---|
| 04 00 | განათლება | 9,514.5 |
| 04 01 | სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა | 7,624.7 |
| 04 02 | სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა | 1,339.8 |
| 04 04 | ზოგადი განათლების (საჯარო სკოლების) ხელშეწყობა | 550.0 |

| პროგრამის დასახელება | კოდი | სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა | 2023 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 04 01 | | 7,624.7 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება“ | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | მცხეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს მუნიციპალიტეტში მცხოვრები სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს.<br><br>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 29 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 2000-მდე ბავშვი. მუნიციპალიტეტში არსებული ბაღების რაოდენობა სრულად უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სკოლამდელი ასაკის ბავშვების მიღებას და შესაბამისი სააღმზრდელო პროცესის წარმართვას. სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულია 556 თანამშრომელი, მ.შ. 137 აღმზრდელი და 88 თანაშემწე. დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სუბსიდია.<br><br>პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 2-დან 6 წლამდე ასაკის ყველა ბავშვის უზრუნველყოფა საბავშვო ბაღის მომსახურებით, შესაბამისი სააღმზრდელო პროცესით, სკოლის ასაკს მიღწეული ბავშვების მზაობა საშუალო განათლების მისაღებად, ადაპტირებული ინფრასტრუქტურის შექმნითა და ინკლუზიური სწავლების დანერგვით უზრუნველყოფილი იქნება თანაბარი ხელმისაწვდომობა. პროგრამის მიზანს ასევე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სააღმზრდელო პროცესის უზრუნველყოფა შესაბამისი პირობებით, მათ შორის, სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები.<br><br>სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ყოველდღიურად კვების რეჟიმი შედგება 3 ძირითადი კვებისა და წახემსებისგან საუზმესა და სადილს შორის (საუზმე, ლანჩი, სადილი, სამხარი). საბავშვო ბაღებში განახლებულია კვების რაციონი, 10-დღიან პერსპექტიულ მენიუზე დაყრდნობით ბავშვებს მიეწოდებათ მრავალფეროვანი და ბალანსირებული საკვები. კვების ყველა ის პროდუქტი, რომლითაც მარაგდება საბავშვო ბაგა-ბაღები, აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს. კვების ორგანიზებისას დიდი ყურადღება ექცევა ჰიგიენური ნორმების დაცვას, მათ შორის, კვების ბლოკის აღჭურვილობის, პროდუქტების შენახვისა და მომზადების მოთხოვნებს.<br><br>პროგრამის განხორციელებისას გათვალისწინებული იქნება გენდერული ასპექტები.<br><br>პროგრამის მიზანია გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) შესრულება: მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის; მიზანი 5 -გენდერული თანასწორობა,<br><br>მიზანი 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა, მიღწევა; | | |
| | მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სახელმწიფო სტანდარტებით გათვალისწინებულია | | |

| | |
|---|---|
| მოსალოდნელი შედეგი | ბავშვის განვითარებისთვის შექმნილი გარემო;<br><br>აღსაზრდელების ოპტიმალური ზრდისა და განვითარების უზრუნველსაყოფად დაცულია სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულებების ნორმები;<br><br>სამუშაო პირობებით უზრუნველყოფილია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების და ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ პერსონალი; |

| პროგრამის დასახელება | კოდი | სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა | 2023 წლის დაფინანსება<br><br>ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 04 02 | | 1,339.8 |
| პროგრამის განმახორციელებელი | მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური; | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის ფარგლებში საბავშვო ბაგა-ბაღების მაქსიმალური გამტარუნარიანობის მიზნით დაგეგმილია მუნიციპალიტეტში ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა, არსებულის რეაბილიტაცია, კაპიტალური შეკეთება.<br><br>მიმდინარე წელს განხორციელდება მუნიციპალიტეტის სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია (ვენტილაცია, გათბობა), მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში საქვაბეების გარეთ გამოტანა, სკოლამდელი დაწესებულებების შენობა-ნაგებობებზე სახანძრო უსაფრთხოების სისტემის მოწყობა, სოფ. ქსანში საბავშვო ბაღის შენობის დემონტაჟი, ქ. მცხეთაში, წერეთლის ქუჩაზე, ახალი საბავშვო ბაგა-ბაღის ასაშენებლად, უფუნქციო, რკინა-ბეტონის აუზის დემონტაჟი.<br><br>პროგრამის მიზანია სკოლამდელი აღზრდის მომსახურების მიღების მსურველთა არსებული მოთხოვნის რაოდენობის მაქსიმალურად დაკმაყოფილებისათვის სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის, სკოლამდელ დაწესებულებებში ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ახალი ბაგა-ბაღების მშენებლობა. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | მაქსიმალური გამტარუნარიანობის მიზნით საბავშვო ბაგა-ბაღების გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა; სკოლამდელი დაწესებულებების გაზრდილი რაოდენობა. | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | ზოგადი განათლების (საჯარო სკოლების) ხელშეწყობა | 2023 წლის დაფინანსება<br>ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 04 04 | | 550.0 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;<br><br>მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური; | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები და საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმოცემული მიზნობრივი ტრანსფერით.<br><br>ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი სახსრებით განხორციელდება ყოველი სემესტრის ბოლოს საჯარო სკოლების მე-11 და მე-12 კლასის წარჩინებული მოსწავლეების წახალისება 250 (ორასორმოცდაათი) ლარის ოდენობის ფულადი ჯილდოთი.<br><br>პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე საჯარო სკოლების დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს მიეცეთ შესაძლებლობა, წარმატებული სწავლისათვის უმაღლეს შეფასებასთან ერთად ფულადი ჯილდოც დაიმსახურონ; გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) მიღწევა: მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის, მიზანი 5 -გენდერული თანასწორობა, მიზანი 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა; | | |
| მოსალოდნელი შედეგი | გაუმჯობესებულია ინფრასტრუქტურა საჯარო სკოლებში;<br><br>ტრანსპორტით უზრუნველყოფილია საჯარო სკოლის მოსწავლეები;<br><br>სტიმული მოსწავლეებისათვის, მეტი დრო გაატარონ წიგნებთან. | | |

მუხლი 16 . კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს **7 560,0** ათასი ლარი. პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

*ათასი ლარი*

| პროგრამული კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა | 2023 წლის გეგმა |
|---|---|---|
| **05 00** | **კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი** | **7,560.0** |
| **05 01** | **სპორტის სფეროს განვითარება** | **5,223.8** |
| 05 01 01 | სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა | 1,845.3 |
| 05 01 01 01 | ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა | 303.5 |
| 05 01 01 02 | კანოესა და ნიჩბოსნობის განვითარების ხელშეწყობა | 276.0 |
| 05 01 01 03 | ჭიდაობის განვითარების ხელშეწყობა | 536.8 |
| 05 01 01 04 | სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარების ხელშეწყობა | 259.0 |
| 05 01 01 05 | საცურაო სპორტის განვითარების ხელშეწყობა | 470.0 |
| 05 01 02 | სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა | 3,378.5 |
| **05 02** | **კულტურის სფეროს განვითარება** | **2,336.2** |
| 05 02 01 | კულტურის დაწესებულებების ხელშეწყობა | 1,582.5 |
| 05 02 01 01 | კულტურის და განათლების მულტიფუნქციური ცენტრის ხელშეწყობა | 1,540.5 |
| 05 02 01 04 | მუზეუმების ხელშეწყობა | 42.0 |
| 05 02 03 | კულტურული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა | 422.2 |
| 05 02 04 | რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა | 20.0 |
| 05 02 05 | კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა | 311.5 |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა | 2023 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | **05 01 01** | | **1,845.3** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა“;<br><br>ა(ა)იპ „გიორგი კაპანაძის სახელობის მცხეთის კანოესა და ნიჩბოსნობის აკადემია";<br><br>ა(ა)იპ „უმაღლესი დაოსტატების მცხეთის ჭიდაობის სკოლა";<br><br>ა(ა)იპ „სხვადასხვა სახეობის მცხეთის სასპორტო სკოლა"; | | |

| | |
|---|---|
| | ა(ა)იპ „მცხეთის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი" |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | მუნიციპალიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, მათ ჩართვას სხვადასხვა სპორტულ სახეობებში. ამ მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოიყოფა ასიგნებები სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობის პროგრამისთვის. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სპორტული დაწესებულებები:<br>- ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა";<br><br>- ა(ა)იპ „გიორგი კაპანაძის სახელობის მცხეთის კანოესა და ნიჩბოსნობის აკადემია";<br><br>- ა(ა)იპ „უმაღლესი დაოსტატების მცხეთის ჭიდაობის სკოლა";<br><br>- ა(ა)იპ „სხვადასხვა სახეობის მცხეთის სასპორტო სკოლა";<br><br>- ა(ა)იპ „მცხეთის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი".<br><br>ქვეპროგრამა ხელს უწყობს სპორტულ დაწესებულებებში გენდერულად მგრძნობიარე ღონისძიებების განხორციელებას და სპორტული წრეების საქმიანობაში ბიჭებისა და გოგონების განსხვავებული საჭიროებების გათვალისწინებას. ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებულია სერვისების იმგვარად შეთავაზება, რომ გამოირიცხოს ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაცია.<br><br>ქვეპროგრამის მიზანია მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით. გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) მიღწევა: მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის, მიზანი 5 -გენდერული თანასწორობა; |
| მოსალოდნელი შედეგი | მოზარდების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში და სპორტის სხვადასხვა სახეობების თანაბარი ხელმისაწვდომობა;<br><br>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებული სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები;<br><br>წლიდან წლამდე სასპორტო სკოლით მოსარგებლეთა გაზრდილი რაოდენობა. |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა | 2023 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 05 01 01 01 | | 303.5 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა" | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამა ხორციელდება ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის" ბაზაზე. აღნიშნული თანხა ხმარდება მუნიციპალიტეტში ბავშვთა ფეხბურთის განვითარებას. სკოლაში ასაკობრივი ჭრილის მიხედვით ფუნქციონირებს 17 საფეხბურთო სექცია (ასაკობრივი ჯგუფი). ჯამში სკოლაში ვარჯიშობს 310 ბავშვი. საფეხბურთო ვარჯიშები მიმდინარეობს ქ. მცხეთაში და მუნიციპალიტეტის 9 სოფელში. 6 ასაკობრივი გუნდი მონაწილეობას იღებს აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით გამართულ ტურნირებში, დანარჩენი 11 ჯგუფი - მცხეთა-მთიანეთის რეგიონულ პირველობაზე 3 ასაკობრივ ჯგუფში.<br><br>ქვეპროგრამა მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; მეტი მოზარდის ჩართვას ფეხბურთში. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | წლიდან წლამდე ფეხბურთით დაკავებული მოზარდების გაზრდილი რაოდენობა. | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | კანოესა და ნიჩბოსნობის განვითარების ხელშეწყობა | 2023 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 05 01 01 02 | | 276.0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | | | |

| | |
|---|---|
| სამსახური | ა(ა)იპ „გიორგი კაპანაძის სახელობის მცხეთის კანოესა და ნიჩბოსნობის აკადემია" |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ნიჩბოსნობის სხვადასხვა სახეობის (აკადემიური, კანოე, ბაიდარა) განვითარება. აკადემიაში ამ ეტაპზე 8 ჯგუფია, ნიჩბოსნობას ეუფლება 80-მდე სპორტსმენი (8 ჯგუფი). ქვეპროგრამის ფარგლებში ეწყობა ტურნირები, მათ შორის, მცხეთობასთან დაკავშირებული ტრადიციული ტურნირი. ასევე, აკადემიის სპორტსმენები მონაწილეობენ სხვადასხვა შეჯიბრებებში, როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ.<br><br>ქვეპროგრამის მიზანია წლის ნებისმიერ პერიოდში აკადემიის მზადყოფნის უზრუნველყოფა დაგეგმილი ჩემპიონატებისთვის; ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სისტემატურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში, მათი მეთოდური აღზრდა-დაოსტატება. |
| მოსალოდნელი შედეგი | ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ჭიდაობის განვითარების ხელშეწყობა | **2023 წლის დაფინანსება**<br>ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 05 01 01 03 | | 536.8 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ „უმაღლესი დაოსტატების მცხეთის ჭიდაობის სკოლა" | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მცხეთის მუნიციპალიტეტში ძიუდოს, თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობის შემდგომი განვითარება და პოპულარიზაცია, საქართველოს ნაკრები გუნდებისათვის უმაღლესი კვალიფიციური სპორტსმენების მომზადება და მათი მონაწილეობის უზრუნველყოფა ადგილობრივ თუ საერთაშორისო შეჯიბრებებსა და ტურნირებში, შეჯიბრებებსა და ტურნირებში მონაწილე სკოლის ნიჭიერი / წარმატებული სპორტსმენების დაჯილდოება, წახალისება ფულადი /ფასიანი საჩუქრებით, ასევე, ვეტერანი სპორტსმენების დაჯილდოება. დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სუბსიდია.<br><br>სკოლის აღსაზრდელები საწვრთნელ პროცესს გადიან ქ. მცხეთასა და მუნიციპალიტეტის 8 სოფელში, სკოლის აღსაზრდელთა რაოდენობა სამ ასაკობრივ ჯგუფში შეადგენს 404 მოსწავლეს. სკოლის აღსაზრდელები წარმატებით მონაწილეობენ ქვეყნის მასშტაბით გამართულ სხვადასხვა შეჯიბრებებში; | | |
| მოსალოდნელი შედეგი | მოზარდების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში;<br><br>ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;<br><br>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებული სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები. | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარების ხელშეწყობა | **2023 წლის დაფინანსება**<br>ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 05 01 01 04 | | 259.0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ „სხვადასხვა სახეობის მცხეთის სასპორტო სკოლა" | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამა ხორციელდება ა(ა)იპ „სხვადასხვა სახეობის მცხეთის სასპორტო სკოლის" ბაზაზე. სკოლაში ფუნქციონირებს სპორტის სხვადასხვა სახეობები: ჭადრაკის, კარატეს, ტაეკვანდოს, ველოსპორტის, კალათბურთის, ფრენბურთის, კრივის 15 სასწავლო-საწვრთნელი ჯგუფი, კვალიფიცირებული 16 მწვრთნელ-მასწავლებლების ხელმძღვანელობით, სადაც მეცადინეობს 257 მოსწავლე.<br><br>წლის ბოლოს დაგეგმილია საუკეთესო სპორტსმენების და მწვრთნელის გამოვლენა და შესაძლებლობის ფარგლებში მათი წახალისება.<br><br>ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა რეგიონის და ქვეყნის მასშტაბით, მოზარდების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში. | | |
| | მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისთვის ხელმისაწვდომი სპორტული წრეები; | | |

| | |
|---|---|
| მოსალოდნელი შედეგი | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებული სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები;<br><br>წლიდან წლამდე სასპორტო სკოლით მოსარგებლეთა გაზრდილი რაოდენობა. |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | საცურაო სპორტის განვითარების ხელშეწყობა | 2023 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 05 01 01 05 | | 470.0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ „მცხეთის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი" | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება კომპლექსის ტერიტორიაზე არსებული სპორტული სივრცის მაქსიმალურად ათვისება და ამ მიზნით სხვადასხვა სახეობის სივრცეების მოწყობა, ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სისტემატურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ საქმიანობაში, საცურაო აუზების შესაბამისი ექსპლუატაცია, რათა საცურაო აუზები გამოყენებულ იქნეს, როგორც ცურვის შესასწავლად, ისე სპორტულ-გამაჯანსაღებელი და დასასვენებელი თვალსაზრისით.<br><br>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების ორგანიზება. ცურვის ფედერაციის და სპორტის სხვადასხვა დაწესებულებების მიერ ორგანიზებული შეჯიბრებების გამართვის ხელშეწყობა.<br><br>ქვეპროგრამის მიზანია ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სისტემატურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში, ხარისხიანი მომსახურების მიწოდება. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | მუნიციპალიტეტის მოსახლეობისა და სტუმრებისათვის ხელმისაწვდომობის გაზრდა საწყლოსნო და სპორტის სხვა სახეობებისადმი;<br><br>ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა | 2023 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 05 01 02 | | 3,378.5 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური; | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | მასობრივი სპორტის განვითარებისა და ახალგაზრდობის სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩართულობის გაზრდის მიზნით ხორციელდება სხვადასხვა სახეობებში სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა და რეაბილიტაცია, სპორტული დაწესებულებების ბაზების თანამედროვე სტანდარტების დონეზე მოწყობა, საზოგადოების ყველა წევრისთვის ხელმისაწვდომი სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა.<br><br>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ქ. მცხეთაში, თეატრონის მიმდებარედ საკალათბურთო ღია მოედნის და ნარეკვავის დასახლებაში მინი სპორტული მოედნის მოწყობა, სოფ. მუხრანში მინი სპორტული მოედნის და მრავალფუნქციური სპორტული დარბაზის მშენებლობა, სოფ. ძეგვში მინი სპორტული მოედნის მოწყობა, სოფ. წეროვანში არსებული შენობის სპორტულ დარბაზად გადაკეთების და რეაბილიტაციის სამუშაოები, სოფ.წილკანში საჭიდაო დარბაზის რეაბილიტაცია, სოფ. ქსოვრისში საჭიდაო დარბაზის მშენებლობა, სპორტული ინვენტარის შეძენა.<br><br>ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება-პოპულარიზაცია, გუნდების მზადება და მონაწილეობა საერთაშორისო და ადგილობრივ სპორტულ ღონისძიებებში. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება.<br><br>სპორტის პოპულარიზაცია. | | |

| ქვეპროგრამის | კოდი | | 2023 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|

| | | | |
|---|---|---|---|
| დასახელება | 05 02 01 01 | კულტურის და განათლების მულტიფუნქციური ცენტრის ხელშეწყობა | 1,540.5 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ - „მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და განათლების მულტიფუნქციური ცენტრი“ | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მცხეთის მუნიციპალიტეტში კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს მძლავრი სექტორის ჩამოყალიბება.<br><br>ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და განათლების მულტიფუნქციური ცენტრი“, რომელიც აერთიანებს მუნიციპალიტეტში არსებულ კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის მცხეთის კულტურის ცენტრს, 4 კულტურის სახლს, 1 ხელოვნების სკოლას, 2 მუსიკალურ სკოლას, 13 ბიბლიოთეკას.<br><br>კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის მცხეთის კულტურის ცენტრში გაერთიანებულია: ბავშვთა საესტრადო და ქორეოგრაფიული წრეები (სწავლის პროგრამაში მონაწილეობს 400- მდე აღსაზრდელი), ფოლკლორული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები (ჩართულია 100-მდე მონაწილე).<br><br>მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 4 კულტურის სახლი, რომლებიც სოფლის მოსახლეობას სთავაზობენ სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებს.<br><br>მუნიციპალიტეტის 13 ბიბლიოთეკისთვის დაარსების დღიდან შეძენილია თანამედროვე რედაქციით გამოცემული 1576 ცალი წიგნი; გამოწერილია 26 სახეობის ყოველდღიური ჟურნალ-გაზეთი. ბიბლიოთეკების მომსახურებით სარგებლობს მუნიციპალიტეტის დაახლოებით 2000 მოქალაქე.<br><br>ქვეპროგრამა ემსახურება კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს და მათ დაქვემდებარებაში მყოფი დაწესებულებების ხელშეწყობა-განვითარებას, რომელიც მოიცავს საფინანსო-საორგანიზაციო დაგეგმარებით საკუთარი შემოსავლების ზრდას. აღნიშნული მოხმარდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, თანამედროვე სახელოვნებო-საგანმანათლებლო პროგრამების ჩამოყალიბებას. ფინანსური და სასწავლო პროგრამული რესურსი თანაბრად განაწილდება ა(ა)იპ "მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და განათლების მულტიფუნქციური ცენტრი"-ს ყველა სტრუქტურულ ერთეულზე. განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე გაიზრდება მოსწავლე-ახალგაზრდების კონტიგენტი, კულტურათშორისი დიალოგი მუნიციპალიტეტებს შორის, განმტკიცდება საერთაშორისო კავშირები (ფესტივალი, კონკურსი, კონცერტი, გაცვლითი პროგრამები, ფლეშ მობები და სხვა) - ხელშეწყობაა არამარტო კულტურისა და ხელოვნების განვითარების, არამედ ტურიზმის, ეკონომიკის, სოციალური მდგომარეობის მუნიციპალიტეტის მასშტაბით.<br><br>დაგეგმილია კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, მცხეთის კულტურის ცენტრის შენობის ტერასის და სარდაფის რეაბილიტაცია, სააბონემენტო და საბილეთო სისტემის ჩამოყალიბება;<br><br>ქვეპროგრამა ხელს უწყობს კულტურული ცენტრებში გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის განხორციელებას და ქალების/გოგონებისა და კაცების/ბიჭების განსხვავებული საჭიროებების გათვალისწინებას. ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებულია სერვისების იმგვარად შეთავაზება, რომ გამოირიცხოს ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაცია.<br><br>ქვეპროგრამის მიზანია: მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება თეატრალური სფეროსადმი, ბიბლიოთეკებისა და მუსიკალური მიმართულებით მოსახლეობის დაინტერესების და ჩართულობის გაზრდა, გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) მიღწევა:<br><br>მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის;<br><br>მიზანი 5 -გენდერული თანასწორობა; | | |
| მოსალოდნელი შედეგი | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი კულტურის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირება;<br><br>მოსახლეობის აქტიური ჩართვა კულტურულ ღონისძიებებში. | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | მუზეუმების ხელშეწყობა | 2023 წლის დაფინანსება<br><br>ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 05 02 01 04 | | 42.0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | სსიპ „ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმი“ | | |
| | ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სსიპ „ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმი“. | | |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | სახლ-მუზეუმის კომპლექსი მოიცავს ცნობილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის საცხოვრებელ სახლს დამხმარე ნაგებობებით და ჭავჭავაძისეულ მამულს ბაღ-ვენახით. მუზეუმის სტაციონალურ ექსპოზიციაში წარმოდგენილია მწერლის მემორიალური ნივთები, მე-19 საუკუნის ქართული კულტურის წარმომადგენელთა ფოტოპორტრეტები და ეპოქის ყოფის ამსახველი ფოტომასალები, მწერლის ხელნაწერები, მისივე გამოცემული პერიოდიკის ნიმუშები. |
| მოსალოდნელი შედეგი | განათლების დონის, ინტელექტისა და კულტურის ამაღლება. |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | კულტურული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა | 2023 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 05 02 03 | | 422.2 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება კულტურული ობიექტების აღჭურვა,<br><br>რეაბილიტაცია, მშენებლობა.<br><br>მიმდინარე წელს დაფინანსდება კულტურის სახლების განათება-გახმოვანება სოფ. ნატახტარში და მუხრანში, მუსიკალური ინსტრუმენტების შეძენა ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და განათლების მულტიფუნქციური ცენტრისთვის“. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | მოსახლეობის აქტიური ჩართვა კულტურულ ღონისძიებებში.<br><br>მოსახლეობაში ტრადიციების შენარჩუნება;<br><br>კულტურული ტრადიციების დაცვა. | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა | 2023 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 05 02 04 | | 20.0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა. დაფინანსების წყაროა ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი სახსრები. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | მოსახლეობაში ტრადიციების შენარჩუნება. | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა | 2023 წლის დაფინანსება<br><br>ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 05 02 05 | | 311.5 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ "მცხეთის კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი" | | |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. მცხეთის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაზე მუშაობაში ჩართულობა; მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის უძრავი და მოძრავი ძეგლების, ასევე, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების აღრიცხვა და მათი მოვლა-პატრონობისა და დაცვის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა - განხორციელება; ტურიზმისა და საკურორტო სფეროში მუნიციპალური პრიორიტეტებისა და სტრატეგიების შემუშავება. ზედაპირული არქეოლოგიური კვლევით არტეფაქტების გამოვლენა-შენარჩუნება; ტექნიკური და ინსტიტუციონალური ღონისძიებებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, ვიზიტორთათვის მეტი სარგებლიანობის და ცენტრის შესაბამისი საორგანიზაციო ხარჯების უზრუნველყოფა.<br><br>ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროა ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრები.<br><br>ქვეპროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის წარმოჩენა და პოპულარიზაცია; ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია. |
| მოსალოდნელი შედეგი | ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ არსებული ინფორმაციის შესწავლა და მასზე ხელმისაწვდომობის გაზრდა;<br><br>ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ობიექტების ფიქსაცია. |

## მუხლი 17. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს **2 919,4** ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

*ათასი ლარი*

| პროგრამული კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა | 2023 წლის გეგმა |
|---|---|---|
| **06 00** | **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** | **2,919.4** |
| **06 01** | **ჯანმრთელობის დაცვა** | **1,201.0** |
| 06 01 01 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 301.0 |
| 06 01 02 | მოქალაქეების მკურნალობის და ოპერაციების ხარჯების დაფინანსება | 900.0 |
| 06 01 03 | ჯანდაცვის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა | 0.0 |
| **06 02** | **სოციალური დაცვა** | **1,718.4** |
| 06 02 01 | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 1,365.8 |
| 06 02 02 | ერთჯერადი სოციალური დახმარება | 100.0 |
| 06 02 03 | ომის ვეტერანთა სოციალური დაცვა, სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურება | 4.0 |
| 06 02 04 | დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირების ფინანსური დახმარება | 45.2 |
| 06 02 05 | ინვესტიციების და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანების ხელშეწყობა | 77.8 |
| 06 02 06 | მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება | 125.7 |

**ჯანმრთელობის დაცვა (06 01)** - პროგრამა ითვალისწინებს „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“

საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის - ეკონომიურად გაჭირვებული და სხვა მძიმე ოჯახური პირობების მქონე მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების იმ წილის დაფინანსებას, რომელიც არ ფინანსდება საყოველთაო ჯანდაცვის და კერძო სადაზღვევო პროგრამებით;

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | **2023 წლის დაფინანსება** ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 06 01 01 | | **301.0** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ "მცხეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი" | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | ქვეპროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის (249.0 ათასი ლარი) და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი საკუთარი სახსრების ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:<br><br>1. ეპიდზედამხედველობა (მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამა) (მალარიისა და პარაზიტოლოგიურ დაავადებათა კონტროლი);<br>2. იმუნიზაციია;<br>3. ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა;<br>4. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა;<br><br>5. თამბაქოს კონტროლი;<br><br>6. ინტეგრირებული სკრინინგის(C ჰეპატიტი, შიდსი, ტუბერკულოზი) განხორციელება;<br><br>7. გადამდებ/არაგადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება;<br><br>8. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამტანების ფაუნის გავრცელების შესწავლა/დადგენა. | | |
| ქვეპროგრამის მიზანი | მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობა, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება, უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს შექმნა.<br><br>გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) მიღწევა: მიზანი 3 - ხელმისაწვდომი ჯანდაცვა; მიზანი 6 - წყლის მდგრადი მართვისა და სანიტარული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველყოფა; | | |
| მოსალოდნელი შედეგი | მოსახლეობის დაცვა სხვადასხვა ინფექციური და გადამდები დაავადებების გავრცელებისგან;<br><br>მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება; | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | მოქალაქეებისათვის მკურნალობის და ოპერაციის ხარჯების დაფინანსება | **2023 წლის დაფინანსება** ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 06 01 02 | | **900.0** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | მცხეთის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური | | |
| | ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:<br><br>● მცხეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სამედიცინო და სოციალური დახმარების პროგრამის შესაბამისად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების (მ.შ. იძულებით გადაადგილებული პირები, რომელთა რეგისტრაციის მისამართიც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით არის მცხეთის მუნიციპალიტეტი და არ ფინანსდება სხვა მუნიციპალიტეტის მიერ) **სამედიცინო დაწესებულებებში სტაციონარული და ამბულატორიული მომსახურების** იმ წილის დაფინანსება, რომელიც არ ფინანსდება საყოველთაო ჯანდაცვის და კერძო სადაზღვევო პროგრამებით.<br><br>ა) დაფინანსების ზედა ზღვარი შეადგენს 2000 (ორი ათასი) ლარს იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარს დარჩენილი აქვს 5000 (ხუთი ათასი) ლარამდე, ხოლო 5000 (ხუთი ათასი) და მეტის შემთხვევაში - 3000 (სამი ათასი) ლარს, გარდა იმ საგამონაკლისო | | |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ჯგუფებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მცხეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სამედიცინო და სოციალური დახმარების პროგრამით.<br><br>ბ) 501 ლარამდე გადაწყვეტილებას იღებს კომისია;<br><br>გ) 501 ლარიდან 3000 ლარამდე დაფინანსებაზე თანხმობის მისაღებად, კომისიის და/ან მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატის შუამდგომლობის გათვალისწინებით, კომისია მიმართავს მუნიციპალიტეტის საკრებულოს.<br><br>დ) 151 ლარამდე ღირებულების სამედიცინო მომსახურება არ ფინანსდება;<br><br>სამედიცინო მომსახურების 100%-მდე (3000 ლარამდე) დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კომისია.<br><br>წლის განმავლობაში სამედიცინო მომსახურებისთვის ბენეფიციარზე გაცემული თანხის საერთო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 4000 (ოთხი ათასი) ლარს.<br><br>• **აუტისტური სპექტრის და გონებრივი განვითარების** შეფერხების მქონე არასრულწლოვანი პირების დახმარება კონკრეტული საჭიროების შესახებ წარმოდგენილი კალკულაციის მიხედვით (კონკრეტული ფსიქოთერაპია, ქცევითი თერაპია, მეტყველების თერაპია); პროგრამით მოსარგებლე პირზე დახმარება გაიცემა წელიწადში არაუმეტეს 2 000 (ორი ათასი) ლარისა;<br><br>• **ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის** საჭიროების მქონე ბავშვების ფსიქოლოგიური<br><br>რეაბილიტაციის კურსების დაფინანსება - დაფინანსებას მიიღებს 18 წლამდე ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის საჭიროების მქონე ბავშვი (საჭიროების შემთხვევაში ოჯახთან ერთად) შესაბამისი დაწესებულებიდან წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტის ან/და ანგარიშფაქტურის საფუძველზე.<br><br>ქვეპროგრამის მიზანია გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) მიღწევა: მიზანი 3 - ხელმისაწვდომი ჯანდაცვა; |
| მოსალოდნელი შედეგი | ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება |

## სოციალური დაცვა (06 02)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენების გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას, მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებითა და ფართით უზრუნველყოფას, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, სხვა სოციალური პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | **2023 წლის დაფინანსება** ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | **06 02 01** | | **1,365.8** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური | | |
| | ქვეპროგრამა ხელს უწყობს გენდერულად მგრძნობიარე სოციალური პოლიტიკის განხორციელებას და სოციალური პროგრამის დაგეგმარებისა და განხორციელების დროს ქალებისა და კაცების განსხვავებული საჭიროებების გათვალისწინებას.<br><br>ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ბავშვების, შშმ პირების, მოხუცების, ქალებისა და კაცებისთვის სხვადასხვა სოციალური სერვისების იმგვარად შეთავაზება, რომ გამოირიცხოს ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაცია.<br><br>ქვეპროგრამის ფარგლებში, მცხეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სამედიცინო და სოციალური დახმარების პროგრამის შესაბამისად, გათვალისწინებულია მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების (მ.შ. | | |

| | |
|---|---|
